

ლანპლუსი plus

№ 108 (1367)

საბჭოთაობა, 4 ოქტომბერი
2012 წელი

გილოცავთ!
საქართველოს
ისტორიული
ხელისუფლება
კონსტიტუციურად
პირველად
შეიცვალა!

საქართველომ არჩევანი დემოკრატიის სასარგებლოდ გააკეთა ვაშლივითი "ისტორიულს" მსოფლიოს რეაქსია

ისტორიის "ისტორიულს" უწოდებს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი. სამშაბათს ვაშლივითი განცხადებაში ვაშინგტონის საგარეო უწყების ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ მისი ქვეყანა მზად არის თანამშრომლობისთვის საქართველოს ახალ პარლამენტთან და ახალ კაბინეტთან, აგრეთვე, პრეზიდენტთან „საქართველოს ხალხისთვის ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად“.

ლი შტატები ყველა პარტიას ახალ პარლამენტში კონსტიტუციული თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს, საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების საკეთილდღეოდ.

„ჩვენ მოუთმენლად ველით ახალ პარლამენტთან და, აგრეთვე, ახალ კაბინეტთან და საქართველოს პრეზიდენტთან თანამშრომლობას ჩვენი ძლიერი ურთიერთობების კიდევ უფრო გასამყარებლად და საქართველოს ხალხისათვის ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად“, - აცხადებს ჰილარი კლინტონი.

ელი რიჩარდ ნორლანდი და სენატორები ჯინ შაფინი და ჯეიმს რიში მიიღო. „ქართული ოცნების“ ინფორმაციით, სტუმრებმა ივანიშვილს არჩევნებში მიღწეული წარმატება მიულოცეს. „ჩვენ აქ ბატონ ბიძინასთან შესახვედრად მოვედით და გვინდოდა, რომ მისთვის ქართული ოცნების წარმატება მიგველოცა“, - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ სენატორმა ჯინ შაფინმა. „ქართული ოცნების“ ცნობით, სენატორმა ჯეიმს რიშიმ კი იმედი გამოთქვა, რომ ამერიკა - საქართველოს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა, კიდევ უფრო გაღრმავდება და გაძლიერდება.

უწოდებს ახალ პარლამენტში არჩეულ ყველა წარმომადგენელს „ერთად იმუშაონ საქართველოს ინტერესებისთვის“.

ჰილარი კლინტონმა 1 ოქტომბერს ისტორიული დეკლარაცია

ამერიკის შეერთებული შტატები ულოცავს საქართველოს მოქალაქეებს 1-ელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მშვიდობიან და აქტიურ მონაწილეობას, - ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონის განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საიტზე გამოქვეყნდა.

ერთი: საქართველომ დემოკრატიის ტესტი ჩააბარა

ამის შესახებ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, ტონინო პიკულამ განაცხადა. „ჩვენ ვაფასებთ და პატივს ვცემთ იმ ნებას, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ გამოხატა“, - „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით ამის შესახებ განცხადება ტონინო პიკულამ გააკეთა. არჩევნებს წარმატებით ჩაბარებული ტესტი უწოდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელმა ლუკა ვოლონტემაც. მისი თქმით, საქართველომ ტესტი ჩააბარა, მაგრამ ამაუცილებელია, წინსვლა გავრცელდეს. ევროპარლამენტარ მილან კაბრინოს აზრით კი საქართველოს ურთიერთობები ევროკავშირთან უფრო მყარ საფუძველზე გადავიდა.

ევროკავშირი „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ზოგადად პოზიტიური ჩატარება და ამომრჩეველთა მაღალი აქტიურობა ხაზს უსვამს საქართველოს ერთგულ მისი დემოკრატიული კურსის მიმართ, განაცხადებს შტეფან ფულემ, ევროკომისარმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში და კეტრინ ეშტონმა, ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა ერთობლივ განცხადებაში 2 ოქტომბერს.



ბიძინა ივანიშვილი



თემურ ჩხანიკვაძე

„შეერთებული შტატები ყველა ქართველთან ერთად მიესალმება ამ ისტორიულ არჩევნებს. პრეზიდენტი ობამა და მისი ადმინისტრაცია სიხარულით ელოდებიან ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობისა და მტკიცე ორმხრივი პარტნიორობის განვითარებას.“

საქართველოში 1 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს ყველა ქართველისთვისა და საქართველოს დემოკრატიული მომავლისთვის ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად და საქართველოს ხალხისათვის ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად.

როგორც ჰილარი კლინტონი მიიჩნევს, ეს ისტორიული დღეა ყველა ქართველისთვის და საქართველოს დემოკრატიული მომავლისთვის.

„მხარს ვუჭერთ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ორგანიზაციის საარჩევნო-სადამკვირვებლო მისიას და მის შეფასებას იმის თაობაზე, რომ ქართველმა ხალხმა თავისუფლად დააფიქსირა საკუთარი ნება საარჩევნო ყუთებთან. ჩვენ მოუწოდებთ ხელისუფლებას, ხმების საბოლოო დათვლა და საჩივრების განხილვა აწარმოოს გამჭვირვალედ და კანონის შესაბამისად“, - აცხადებს ჰილარი კლინტონი.

როგორც კლინტონმა აღნიშნა, ახლა, როცა ქართველმა ხალხმა უკვე თქვა თავისი სათქმელი, შეერთებული შტატების

„მხარს ვუჭერთ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ორგანიზაციის საარჩევნო-სადამკვირვებლო მისიას და მის შეფასებას იმის თაობაზე, რომ ქართველმა ხალხმა თავისუფლად დააფიქსირა საკუთარი ნება საარჩევნო ყუთებთან. ჩვენ მოუწოდებთ ხელისუფლებას, ხმების საბოლოო დათვლა და საჩივრების განხილვა აწარმოოს გამჭვირვალედ და კანონის შესაბამისად“, - აცხადებს ჰილარი კლინტონი.

როგორც კლინტონმა აღნიშნა, ახლა, როცა ქართველმა ხალხმა უკვე თქვა თავისი სათქმელი, შეერთებული შტატების

„ევროკავშირი ულოცავს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში გამარჯვებას. ქართველმა ხალხმა თავისი სიტყვა თქვა. პასუხისმგებელი ხელისუფლებაც და კონსტიტუციული ოპოზიციაც ფუნქციონირებდა დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენენ“, - ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებაში ევროკავშირი მო-

დემოკრატიის ტესტი ლანჩხუთმაც ჩააბარა არჩევნების დღე ლანჩხუთში

პირველი ოქტომბრის დღით მედია საშუალებებმა ვაშლივითი ინფორმაციები, რომ ისტორიულ არჩევნებს უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის დამკვირვებლები დაესწრებოდა: 3300-ზე მეტი ჟურნალისტი, 61 საერთაშორისო ორგანიზაციიდან ორი ათასზე მეტი გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებელი, 50-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, სამი ათასი მარტო უცხოელი ჟურნალისტი გეგმავდა არჩევნების დღის გაშუქებას, ტელეკომპანიები საგანგებო რეჟიმში გადავიდნენ.

საინფორმაციო საშუალებების მიმართ საზოგადოების ინტერესი

ბუნებრივია გაიზარდა, რომლებიც დაინტერესებულ პირებს საათში ერთხელ საარჩევნო პროცესის შესახებ ინფორმაციებს აწვდიდნენ.

ხალხში იგრძნობოდა განსაკუთრებული მოლოდინი, თუ რა მოხდებოდა არჩევნებზე. ყურადღება თავიდანვე გადატანილი იყო „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობაზე“ და მათ კანდიდატებზე - თემურ ჩხანიკვა და გიორგი გოგუაძეზე. დილიდანვე უკვე ხალხმრავლობა შეინიშნებოდა 61-ე ოქტის №8 უბანზე, რომელიც აცანის საჯარო სკოლის შენობაში იყო განთავსებული. საარ-

ჩვენ პროცესი კანონით დადგენილი წესით დაიწყო. პირველი ამომრჩეველი დილის რვა საათზე უკვე უბანზე იყო. უბანი მოწყობილი იყო ეფექტურად, ერთ სივრცეში, რომელსაც ჰქონდა ერთი კარი, მუშაობდა ქსეროქსი და მარკირების აპარატი.

საარჩევნო პროცესს ლანჩხუთის 38-ივე უბანზე იღებდნენ ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპარტიები ადამიანის უფლებებისათვის“ წარმომადგენლები, ასევე ყველა უბანზე მრავლად იყვნენ წარმოდგენილები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. მაგალითად, მერვე უბანზე საარჩევნო პროცესს დილიდან აკვირდებოდნენ „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“, „დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოება“, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“, „მომავლის არჩევანი“, „ეკონომიკურ დანაშაულთან, კორუფციასთან და კონტრაბანდის ბრძოლის კავშირი“, „დემოკრატიის ქსელი“, „საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი“, „დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოება“, „საარჩევნო სისტემის კვლევის ცენტრი“, „კავკასიური დიპლომატიის ცენტრი“,

„თავისუფალი არჩევანი სამოქალაქო საზოგადოებისათვის“, საქართველოში შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლები ჯეიმს მაკნიკოლასი და თამარ ნასარიძე. დამკვირვებებს აწარმოებდნენ ასევე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“ და „ყოფილი პოლიტპარტიები ადამიანის უფლებების“ გარდა ყველა დანარჩენს დამკვირვებელი და წარმომადგენელი ადგილობრივი ჰყავდა.

61-ე ოქტის მერვე უბანზე

გაზეთი გაიქცა
სამშაბათს,
სუთშაბათს,
შაბათს
ღვან გაზეთი
ოთხშაბათიდან,
შასი 25 თეთრი

ლანჩხუთი
ჩვენი გაზეთის
ინტერნეტ
ვერსია იხილეთ
მისამართზე
www.lanplus.com.ge

გაზეთი გაიქცა
შაბათს, 5 თვეთშაბათი
ღ ღ ე
25°C
მოდრულულობა, ნალექი
ქარი: სამხრეთის, 4 მ/წმ
ღ ა მ ე
18°C
ქარი: აღმოსავლეთის, 4 მ/წმ

გაზეთი გაიქცა
შაბათს, 6 თვეთშაბათი
ღ ღ ე
25°C
მოდრულულობა, ნალექი
ქარი: აღმოსავლეთის, 5 მ/წმ
ღ ა მ ე
17°C
ქარი: ჩრდილო-აღმოსავლეთის, 3 მ/წმ

| შტატების ვალუტის | |
|--------------------|--------|
| კურსი | |
| 1 აშშ დოლარი | 1.6620 |
| 1 ევრო | 2.1463 |
| 1 ინგლ. გირ. სტერ. | 2.6953 |
| 1 თურქული ლირა | 1.0772 |

არჩევნები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

უხევის დონეა საარჩევნო ადვინისტრაციამ კარგად იმუშავა...

სათაურში გამოტანილი ეს ფრაზა მე არ მეკუთვნის, გუშინ დილით რადიო „თავისუფლების“ ეთერით მოვისმინე. ლაპარაკობდა არასამთავრობო ორგანიზაცია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, ქალბატონი ეკა სირაძე-დელიანი. მე შემძლია დავადანტურო ქალბატონ ეკას ეს შეფასება ლანჩხუთის 61-ე საარჩევნო ოლქის მე-2 საარჩევნო უბნის მაგალითზე.

თუნდაც იმიტომ, რომ მადლობა ვუთხრა საუბნო კომისიის წევრებს ერთი თვის მანძილზე გულმოდგინე მზადებისათვის და პირველი ოქტომბრის დილის ექვსი საათიდან 24 საათიანი მუშაობისათვის, სიამოვნებით გაცნობდით ყველას, ვინც იმ დღეს კენჭისყრის ოთახში თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა.

არ იფიქროთ ყველაფერი იდეალურად იყო და ზოგიერთი უმნიშვნელო დარღვევას ადგილი არ ჰქონია, კომისიის შემადგენლობაში ხელისუფლებაში მყოფი პარტიების წარმომადგენელთა რიცხობრივი უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ აშკარა იყო კეთილგანწყობილებაც და ყველაფრის ცივილიზებული წარმართვის სურვილიც.

აქვე მეტყვი, რომ ბოლომდე მოთმინებით „გვაკვირდებოდნენ“ საქართველოში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლები ჯიშის მაკნიკოსი და თამარ ნასარიძე.

კომისის თავმჯდომარეობდა ქალბატონი ლალი კიკაბიძე.

უბანი სათანადოდ იყო ტექნიკურად აღჭურვილი: სეიფი, ტელეფონი, ქსეროქსი, მარკირების სითხე...

კომისიის წევრებიც და დამკვირვებლებიც ძალიან დიდიხალნი და ბიულეტენების დათვალი კარგა ხანს გაგრძელდა. მობილური ტელეფონებით ვლებულობდით ინფორმაციას და უკვე პირველი ეკვიტოლების გამოცხადების შემდეგ აშკარა გახდა, რომ „ქართული ოცნება“ დაწინაურდა.

გარეთ საყვირების და ზვიმის ხმა ისმოდა, ჩვენ კომისია კი განაგრძობდა დათვლას და დაადგინა, რომ მეორე საარჩევნო უბანში „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო 606 ხმა, ნაციონალურმა



№2 საარჩევნო უბანი

– 275. შესაბამისად, თემურ ჩხაიძემ – 589 ხმა, გიორგი გოგუაძემ – 200-ზე ცოტა მეტი.

დაიწერა ოქმი, დარიგდა მისი ქსეროასლები და დავიშალეთ, ზოგი იმედგაცრუებული, ზოგიც კმაყოფილი, რომ საქართველოში ცვლილებების ეპოქა დაიწყო.

ქ.ნ.

ქართული ოცნების გამარჯვება დიდი იმედი ჩაუსახსნა ხალხს

1 ოქტომბერს, ლანჩხუთში დილიდანვე იგრძნობოდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა. განსაკუთრებული სიმშვიდე იყო ცენტრალურ პარკში, რომელიც თანდათან სუფთავდებოდა წინა დღის ნაგვისაგან. ფუსფუსებდნენ მეფხოვები ისე, რომ თითქოს მხოლოდ დაგვა-დასუფთავებით იყვნენ დაკავებული, მაგრამ გამგლევის ყურს მაინც არ გამოპარვია უმნიშვნელო გადალაპარაკებაც კი: დღეს ხუთიანს შემოხანავეთ? – კი, კი აბა რას ვიზამ.

დილიდანვე დარბოდნენ ხელისუფლების კოორდინატორები, ანუ „სპისოკიანი“ ქალები, მაგრამ როგორც ამბობენ, გადამეტებული რეკლამა და „გადამქტარი“ მოპატიუება ანტირეკლამა გამოდგა.

№1 საარჩევნო უბანთან, პირველი საჯარო სკოლის წინ ძირითადად სიმშვიდე იყო, მხოლოდ დილის საათებში ჰქონდა ადგილი მცირეოდენ შეხლა-შემოხლას.

ე.წ. „სპისოკიანმა“ ქალებმა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოსტი დაიკავეს საარჩევნო უბნის წინ, ანუ

პირდაპირ. ეს ფაქტი მაშინვე გააპროტესტეს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა, მიუხედავად ამისა, ქალბატონებმა დაკავებული პოსტის შეცვლა არ ისურვეს, თუმცა მას უკვე იღებდა რამდენიმე ფოტო და ვიდეო კამერა. თავისი რომ აღარ გაუვიდათ, სამედიცინო ცენტრ „ავერსის“ გვერდით ჩამოსხდნენ ქვის მოაჯირზე და „მუშაობა“ გააგრძელეს.

ამასთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო კულტურის ცენტრში არსებული საარჩევნო უბნის წინ. აქ კოორდინატორებმა უკვე სკვერში მოიყარეს თავი და საეჭვო პირის გამოჩენაზე „სპისოკს“ მალავენ: „აგერ ახლა ჟურნალისტმა ჩეიარა“, – გადაულაპარაკეს ერთმანეთს ჩემი გამოჩენისთანავე და ერთობ საჭირობოროტო თემებზე გააგრძელეს მასლაათი.

დაახლოებით შუადღისთვის ლანჩხუთის ცენტრში „მადრევეთან“ პრეზიდენტის გამომხდარა, წითელმისურიან ბავშვებს მიესალმა და გააფორბინა, თქვენ არჩევნებში ვერ მიიღებთ მონაწილეობასო. თუმცა იმ დღეს არც პრეზიდენტის მოსვლა გაუფია ვინმეს, არც წასვლა, ამისათვის აღარავის სცხელოდა.

ხალხის აქტივობა უბნებზე განსაკუთრებით დიდი იყო დილის საათებში. ვისაც კი დაავიანდა, „სპისოკიანებმა“ მაშინვე აღნიშნეს საკუთარ „დავთარში“ და ტრანსპორტით მომსახურებაც კი გაუწიეს მათ. მიუხედავად ხელისუფლების ასეთი გულმოდგინებისა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, არჩევანი არავის არ შეუტვლია, პირქით, უნდობლობა და აღჩფოთებაც კი გამოიწვია ამგვარმა სამსახურმა. მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარი ავტოკალმებითაც კი მიდიოდა არჩევნებზე. მაგენის არც „კალმებს“ ვენდო-



დამკვირვებელი აშშ-ს საელჩოდან

ბითო, ამბობდა მრავალი მათგანი.

კიდევ ერთხელ უნდა აღნიშნო, რომ მიუხედავად მცირეოდენი შეხლა-შემოხლისა, განსაკუთრებული სიმშვიდე იგრძნობოდა ყველგან, ყველა ლოცულობდა და იმედით შესცქეროდა უბნების დახურვას.

ყველაზე დიდი აღფრთოვანება პირველი ეგვიტოლის შედეგის გამოცხადებას მოჰყვა.

საზოგადოების დიდი ნაწილი საარჩევნო უბნების წინ იღვა და კიდევ უფრო მეტი მოდიოდა. მსგავსი მოვლენა ალბათ არც ლანჩხუთის ახსოვს და არც მთელს საქართველოს. ჯერ კიდევ ხმის დათვლა დაწყებული არ იყო საგარაულო შედეგებზე დაყრდნობით, ლანჩხუთში „ქართული ოცნების“ მხარდმჭერებთან ერთად, მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე ზემობდა.

„ქართული ოცნების“ განარჯვებამ დიდი იმედი ჩაუსახსნა ხალხს.

მაია კუჭულაძე

არჩევნები უკან დარჩა

არჩევნები არანაკლებ საინტერესო იყო ჩვენთვისაც, ჩვენ მოზარდები მთე-

ლი დღე ლანჩხუთის ცენტრალურ პარკში ვიყავით შეკრებილი და ვხალისობდით, იმ დღეს ხომ სკოლებში გაკვეთილები არ ტარდებოდა. ამიტომაც ვიყავით ყველანი პარკში, ჩვენს შორის მომხრეები ორთავე მხარეს ჰყავდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონია, ყველანი ერთად ვერთობოდით. საღამოს, როცა ხმის მიცემა შეწყდა და საგარაულო შედეგები ინტერნეტში დაილო, პირველად ეს ჩვენ გავიგეთ. ხალხი უბნებთან იყო შეკრებილი, შედეგებს ელოდა, როცა ვუთხარით ოცნებამ გაიმარჯვაო, ჯერ არავინ არ დაიჯერა, მეორე გვითხრეს, სუთ ბაღნებო, ვინმემ არ გავგონოთო, ცოტა ხანში ისევ ავეყვირდით და ისევ დაგვარიგეს, გაჩერდითო. ამასობაში სიგნალების ხმაც გავიგონეთ და ყველას გულზე მოეშვა, ერთმანეთს ვულოცავდით, ყველა ბავშვი მხიარულობდა. ჩვენ მეორე დილითაც ყველა ერთმანეთს ვულოცავდით გაკვეთილებზე მხიარულად ვისხედით. 2 ოქტომბერს კი სწავლა ჩვეულებრივ ოქტომბერს დაიწყო. არჩევნები უკან დარჩა, მაგრამ ეს არჩევნები ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება.

მარიამ ვადაქორია



„სპისოკიანი“ ქალები

მადლობა!

გმადლობთ, ჩემო მახვარეთელო მეზობლებო, რომ ჩემი ძმის, ზაურ წილოსანის საფლავთან თაიგულებით მიხვედით და იქ ჩასძახეთ, რომ მისი ოცნება ასრულდა. მჯერა, ის იმიერადან გლოცავთ თქვენ და მისთვის უსახლდროდ საყვარელ სამშობლოს. ღმერთი გფარავდეთ თქვენ და საქართველოს.

ნაზი წილოსანი

განცხადება!

იყიდება ნატურალური თაფლი ბითუმად.

დარეკეთ: 599 987-937.

თანაგრძნობა

შოთა წულაძე ოჯახით უდიდესი გულსტკივილით თანაგრძნობას უცხადებს ბადრი წულაძის ოჯახს დედის, კეთილშობილი ადამიანის, დამსახურებული პედაგოგის, **ლანა პაპაქორია-წულაძის** გარდაცვალების გამო.

წავიდნენ ამ ქვეყნიდან ისე, როგორც ეს მოყვარულ ცოლ-ქმარს შეეფერებოდა. ორივენი სულით სორცამდე მშვენიერები იყვნენ. სამაგალითოდ განვლეს ხანგრძლივი ცხოვრების გზა და ორივე დღის განსწავლებით აღსრულდნენ. მათ მაგალითზე შეგეძლოთ გეთქვათ როგორია ქართული სიღამაზე და როგორია გურული სიღამაბისილე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს **ნაძილა და ელგუჯა კეშელაძეების** სულები, სამძიმარი ყველას, ვისაც ისინი უყვარდა.

ქეთევან ნაპაიძე

ლანჩხუთის სამუსიკო სკოლის კოლექტივი მწუნარებით იუწყება ყოფილი თანამშრომლის, ქალბატონ **ნათელა დოლიძე-კაკუაძის** გარდაცვალებას, თანაგრძნობას უცხადებს შვილს აჩიკო კუკულაძეს და ახლობლებს.

გია ებრაღიძე ოჯახით თანაგრძნობას ციცო, კოტე ჩხაიძეებს ბატონ **გური ურუაძის** გარდაცვალების გამო.

ნიგუზიანის საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეები, მათი მშობლები და კლასის ხელმძღვანელი თანაგრძნობას გიორგი გოგინაიშვილს **ბებიის** გარდაცვალების გამო.

ავთო ხელაძე ოჯახით მწუნარებით იუწყება ძვირფასი ნათლის, უკუიღმობილეის პიროვნების, **გური ურუაძის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას განსვენებულის ოჯახს.

ლეგან შალიკაშვილი ოჯახით თანაგრძნობას ციცო ურუაძეს და კოტე ჩხაიძეს მამისა და სიმამრის, ბატონ **გური ურუაძის** გარდაცვალების გამო.

სუფის საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეები და დამრიგებელი სამძიმარს უცხადებენ ამირან ტულუშს **ბებიის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ოჯახს.

ქალბატონ გულნარა ორაგველიძეს! შოთა, ვახტანგ ჩხაიძეები ვიზიარებთ თქვენს მწუნარებას **დის** გარდაცვალების გამო.

მარიამ მურგანიძე თანაგრძნობას ალიკო მურგანიძეს **ბებიის** გარდაცვალების გამო.

ჩვენ ვაუთორთ ყოველდა გარდაცვალებას!